პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 აგვისტო, კვირა 1973 წელი 2 ქაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 194 (15711)

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ — ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ!

უკვე მოკრეფილია 227.477 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

მეჩაიეთა ლაშქრობა დიდი ჩაისათვის გადამწყვეტ ფაზაში შედის. აგვისტოში დარჩენილ დღეებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული წარმატების ბედი. ამიტომ ახლა ადრე დილიდან გვიან საღამომდე მასობრივად იკრიფება ჩაის ფოთოლი. აღსანიშნავია, რომ მეჩაიეებმა დიდად გაუსწრეს შარშანდელ დონეს. **ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 227.477 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი,** რაც გეგმა-ვალდებულების 80 პროცენტს შეადგენს და შარშან 13 აგვისტისათვის მოკრეფილს თითქმის 7.000 ტონით სჭარბობს. მარტო 6 აგვისტოდან 13 აგვისტამდე რესპუბლიკაში მოკრეფილია 7.400 ტონა ჩაის ნედლეული.

ჩვენმა მეჩაიეებმა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად კიდევ უნდა მოკრიფონ 58 ათას ტონამდე ჩაის ფოთოლი. ამიტომ ყოველი დღე, ყოველი საათი გონივრულად უნდა გამოვიყენოთო, არ შეიგვიანოთ კრეფის ტემპი, აუღებელი არ დავტოვოთ საკრეფად შემოსული არც ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული. ისევ კარგად შრომობენ **აფხაზეთის** მეჩაიეები, რომლებმაც 13 აგვისტოსთვის მოკრიფეს 43.928 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს წლიური გეგმა-ვალდებულების 84 პროცენტია, ამ წარმატებებს განაპირობებს ჩაის დიდი მწარმოებელი — გალისა და ოჩამჩირის რაიონების მეჩაიეთა შემართება.

აჭარის მეჩაიეებს მოკრეფილი აქვთ 35.073 ტონა ჩაის ნედლეული, რაც დავალების 80 პროცენტს შეადგენს. ამ რიცხვისათვის აჭარელი მეჩაიეები შარშანდელ დონეს კვლავ ჩამორჩებოდნენ. **მახარაძის** რაიონში მოიკრიფა 39.366 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს დავალების 78 პროცენტია და შარშანდელ დონეს ჩამორჩება.

ზუგდიდელებსაც შარშანდელთან შედარებით 1.000 ტონით ნაკლები აქვთ მოკრეფილი. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ჩამორჩენა გამოასწორონ.

წალენჯიხელ მეჩაიეებს აღნიშნული რიცხვისათვის წლიური გეგმა-ვალდებულება შესრულებული ჰქონდათ 75 პროცენტით. **ვანეველებს** — 83, **ლანჩხუთელებს** — 78, **ჩხოროწყუელებს** — 77, **ჩოხატაურელებს** — 84, **წყალტუბოელებს** — 81, **ცხაკაიელებს** — 86, **წულუკიძელებს** — 80, **ხობელებს** — 80. **სამტრედიელებს** — 78 პროცენტით, ხოლო **ტყიბულელებს** — 87 პროცენტით.

მანქანებით ჩაის კრეფის გეგმა 31.800 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. დავალება შესრულებულია 57 პროცენტით. როგორც აქედან ჩანს, მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფა ჩამორჩა. საჭიროა სათანადო ღონისძიებათა განხორციელება, რათა ნაკისრი ვალდებულება შესრულდეს. **რაოდენობაც, ხარისხიც, მეჩაიეებო!**

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

თელავი. (სპეც. კორ.). საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებელი ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ი. ბეჟუაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი რ. მანჭარაული) მშენებლებმა წლის დასაწყისიდანვე ფართო ფრონტით გაგაიეს მუშაობა ხუთწლედის მესამე წლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და სასახელო მაჩვენებლებსაც მიაღწიეს.

თელაველმა მშენებლებმა 11 აგვისტოსთვის სამშობლოს 9 თვის გეგმის შესრულება უპატაჟეს. გათვალისწინებული 2.114 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოების ნაცვლად 2.115 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები შესრულეს.

ამ წარმატებების მოპოვებისათვის გაჩაღებულ დამკვრელურ შრომაში ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი იმ შრომითმა კოლექტივებმა, რომლებსაც სამუშაოთა მწარმოებლები მ. სატიაშვილი, ი. ძამსაშვილი, ლ. ლილუაშვილი და მ. ბალუაშვილი ხელმძღვანელობენ.

მᲯᲙᲘᲗᲮᲔ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲘ განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის ზრდასთან, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ამოცანას, როგორიც არის ადამიანის შეგნების ჩამოყალიბება, მასში კომუნიზმის მშენებლისათვის საჭირო თვისებების აღზრდა.

მაგრამ არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არც თუ იშვიათად იჩენს თავს წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული, თავისი არსით საბჭოთა წყობილებისათვის უცხო ისეთი სოციალური წყლულები, როგორიც არის მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთახორობა, ლოთობა, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების სხვადასხვა დარღვევა.

განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო საზოგადოების ამ ანტიპოდებმა ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე, როცა ეკონომიკაზე მეტად დაზარალდა ადამიანთა ფსიქიკა, მხოფლმხედველობა და რწმენა.

ხად და რომელ სფეროში არ შეაღწიეს წინათ გამეფებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა! ეს მოვლენები კი ხელსაყრელ ნიადაგს პოულობდნენ იქ, სადაც შეუძლებელი იყო მათ წინააღმდეგ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა, სადაც მოისუსტებდა აღმშრდელობითი მუშაობა, სუფთადა უკონტროლობა, ადგილი ჰქონდა მაამებლობას, შემარიგებლობას, ძმაბიჭობას, კუთხურობას...

ისეთი შრომითი, საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციების რაიონშიც კი, როგორიც თბილისს ლენინის რაიონია, ასობით კომუნისტს, მათ შორის ბევრ ხელმძღვანელ მუშაკს დაედო მკაცრი პარტიული სასჯელი სხვადასხვა დარღვევისა და ბარბაღის წევრისათვის შეუფერებელი საქციელის გამო. სამართალში მიეცმაენ კომუნისტებს შორის კი, სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, დეპუტატები.

სიყალბე, თვალისახვევა, დანაშაული ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ტყიბულის საქვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშაობაში. იმ დროს, როცა ქალაქის ახალმშენებლობანი საქვირთო ავტომანქანების მწვავე ნაკლებობას განიცდიან, აქ ხშირია კერძო პირებზე მათი განთხოვრების შემთხვევები. ავტოსატრანსპორტო საწარმოს ყოფილი უფროსი გ. ლომძე აშკარა დანაშაულობათა გზას დაადგა. მან მუშებზე ხელფასის სახით ყალბად გასცა 1252 მანეთი. საწარმოში სიყალბე ჩაიდინეს ავტომანქანების რემონტის, აგრეთვე ამ მიზნისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ჩამოწერის საბუთების შედგენაშიც.

საბჭოთა საზოგადოებისათვის უცხო ანტიპოდების წინააღმდეგ ქმედითი ბრძოლა და ამ ბრძოლაში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა აღგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანაა. მაგრამ ეუდად გაიგეს თავიანთი როლი ამ საქმეში ორჯონიკიძის რაიონის ყოფილმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა—პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ჯოგლიძემ, მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. რობაქიძემ, რაიონის პროკურორმა გ. მდინარეძემ და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა შ. დევდარიანმა. ამან რაიონში შექმნა დაუსჯელობის, წაყრუების, ზოგჯერ კი სოციალისტური კანონიერების უხეშად დამრღვევებისადმი მფარველობის ატმოსფერო; ეს გარემოება ხელს უწყობდა რაიონში სოციალისტური კანონიერების დამახინჯებებს, მშრომელთა მოქალაქეობრივი უფლებების აბუჩად აგდებას.

ამ დღეებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „ორჯონიკიძის რაიონში სოციალისტური კანონიერების მეტად უხეში დარღვევის ფაქტების თაობაზე". ეს დადგენილება მკაცრი გაფრთხილებაა ყველასათვის, ვინც კი შეეცდება გადაუხვიოს სოციალისტური კანონიერების დაცვის და კომუნისტური მორალის პრინციპებიდან.

წყლული. წყლულია, მაგრამ ყველაზე საშიში წყლული მაინც ქრთამია. იქ, სადაც ქრთამია, ლაპარაკიც ზედმეტია პოლიტიკაზე, — გვასწავლიდა დიდი ლენინი. მექრთამეები მოქმედებენ ყველგან, სადაც კი ხუფევს უპრანციპობის, ნათლიმამობის, ურთიერთთავდებობის, მლიქვნელობისა და უყონტროლობის ვირაჟები. ასეთი ვითარება კი იყო, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რესპუბლიკის ბევრ საწარმოში, ორგანიზაციასა და უწყებაში.

ხახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ქობულეთის რაიონის ხუცუბნისა და გორის რაიონის ტყვიავის სასოფლო საბჭოების მშრომელთა კოლექტივების პატრიოტულმა ინიციატივამ.

შრომითი კოლექტივების კრებებმა და სასოფლო ყრილობებმა, რომლებიც მთელ რესპუბლიკაში გაიმართა, მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას, ისინი ერთგვარი მობრუნების პუნქტებიც გახდნენ ამ მიმართულებით. ხალხმა მხურვალედ მოიწონა ღონისძიებანი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა ადამიანისათვის უცხო ზნეჩვეულებებს ავლენენენ.

მაგრამ ამასთანავე თვალს ვერ ავარიდებთ ისეთ ფაქტებს, როცა ბევრგან ეს ინიციატივა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და ფორმალიზმის ტყვეობაში მოექცა. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვანთ თვით ერთ-ერთი ინიციატორის, ტყვიავის სასოფლო საბჭოს მაგალითს, რომლის გულგრილი დამოკიდებულება ამ საქმისადმი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გახმაურდა რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე.

ტყვიავი ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. ასეთი ფაქტები კი იმას მეტყველებენ, რომ ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები გულმხურვალედ არ მოეკიდნენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, არ განამტკიცეს ნაკისრი ვალდებულებანი ორგანიზაციულად და იდეოლოგიურად. ამიტომაც საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ამ მდგომარეობას ერთი წუთითაც არ უნდა შევურიგდეთ.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა დამნაშავეებასთან ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში. მაგრამ როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, ზანტად მიმდინარეობს პროკურატურის, სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გარდაქმნა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. ამის შედეგად ძიდინარე წლის პირველი ნახევრის მანძილზე ჩვენში დანაშაულობათა რიცხვი არა თუ არ შემცირდა, არამედ კიდევაც გაიზარდა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დამნაშავეთის წინააღმდეგ აფხაზეთში, თბილისში, ჯუთაისში, რუსთავში, ბორში, შახარაძის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში. ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის. მკაცრი პასუხი უნდა მოვთხოვოთ ყველა მუშაკს, რომელიც ხელს აფარებს დამნაშავეებს და არ ეხმაურება მომხდარ დანაშაულს.

მთელ რიგ პირთა ზნეობრივი დაცემისა და გადაგვარების ფაქტები იმის უშუალო ანარეკლია, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები შეცდომებს უშვებდნენ კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომელიც ყოველდღიურ მუშაობას ეწევა ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენების წინააღმდეგ, მთავარ ყურადღებას აქცევს კადრების პოლიტიკის საკითხებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქმის საერთო ინტერესების გათვალისწინებით, მაღალი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის პოზიციებიდან უდგება ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკებს, იგი მკაცრად აფრთხილებს, ზოგჯერ კი თანამდებობიდან ათავისუფლებს ან ხსნის იმათ, ვინც მუშაობაში სერიოზულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს უშვებს.

მთელი ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედის — კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას დიდი დახმარება გაუწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

ცხადია, ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მნიშვნელოვან განმტკიცებასაც. მაგრამ მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, ყველა პარტორგანიზაციაში რომ სრულად ახორციელებდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების დასკვნებსა და მითითებებს.

ახალი ადამიანი ყალიბდება წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ განუწყვეტელ, შეურიგებელ ბრძოლაში.

გადაჭრით უნდა ავამაღლოთ თვითეული შრომითი კოლექტივის როლი, რადგან იგი საბჭოთა ადამიანების აქტივობის გაძლიერებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი უბანია. თვითეულის პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე და კოლექტივის პასუხისმგებლობა თვითეული მუშაკისათვის ჩვენი ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი უნდა გახდეს.

მტკიცე პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რომ ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ იმოვნოს თავისი ადგილი და გასახაზოს თავისი კონკრეტული ამოცანები ამ დიდ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში. საზოგადოებრიობა კი მაშინ არის ძლიერი მუქთახორათა წინააღმდეგ ბრძოლაში, როცა ყურადღებას აქცევს ნამდვილი ურთიერთმომთხოვნელობის აღზრდას, პატივს სცემს პრინციპულ კრიტიკას და თვითკრიტიკას.

ჩვენს პარტიას ყველა საქმეში მუდამ პყავდა და პყავს აქტიური თანაშემწეები — პროფკავშირი, კომკავშირი და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ მხრივ მათი ამოცანები ახლა უფრო იზრდება და პასუხსაგები ხდება. ამ საქმეში თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების მუშაკებმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

დიდი ძალაა პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელთა ყურადღებიანი დამოკიდებულება მშრომელთა სიგნალების, კრიტიკული შენიშვნების, აზრებისა და წინადადებებისადმი, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ხორცმეტების საუკეთესოზე გამოყვანისაკენ არის მიმართული.

პარტია საზოგადოებრიობის მხარდაჭერით უკომპრომისო ბრძოლას ეწევა ცხოვრების მახინჯი მოვლენებისა და ხორცმეტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა კი მანამდე გასტანს, სანამ ახალბრეზდან უკანასკნელი მუქთახორა არ აიკრავს გუდა-ნაბადს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

17 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილის რ. ა. ულიანოვსკის შეხვედრა ბანგლადეშის კომუნისტური პარტიის დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბანგლადეშის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. სალამი და ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. მუკერჯი და მ. ფარაკაი.

საუბარმა ჩაიარა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში და დაადასტურა აზრთა ერთიანობა განხილულ საკითხებზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲒᲐᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐ-ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომ 1973 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერება.

დათვალიერების მიზანია შრომის ნაყოფიერების გაღიდება, საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა, ტექნოლოგიის სრულყოფა, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართო დანერგვა, მძიმე ხელის სამუშაოთა ლიკვიდაცია, სამუშაო ადგილების ორგანიზაციის გაუმჯობესება, მოწყობილობისა და საამქროების მოვლა, შრომის დაცვის კანონმდებლობისა და სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნათა შესაბამისად შრომის პირობების გაუმჯობესება, იმ ღონისძიებათა კომპლექსის შესრულება, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების, ხელშემწყობი სანიტარიულ-ჰიგიენური ვითარების შექმნას და იმ მიზეზების ლიკვიდაციას, რომლებიც იწვევენ საწარმოო ტრავმატიზმს, პროფესიულ და საერთო დაავადებებს; მომუშავეთა უზრუნველყოფა მაღალხარისხოვანი სასუქებისაცმლითა და სპეციფსაცმლით; ახალი საშხაპეების, საგარდერობეებისა და სხვა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სათავსებების მშენებლობისა და აღჭურვის, აგრეთვე არსებულის გაფართოებისა და სანიმუშოდ მოწესრიგების უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება, მომხმარებელთა მომსახურების კულტურის ამაღლება, საერთო საცხოვრებლების სანიმუშოდ მოწესრიგება, მათი უზრუნველყოფა საჭირო საყოფაცხოვრებო და კულტურული ინვენტარით.

დათვალიერების დროს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფართოდ ჩაბმა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები, რომლებიც დათვალიერებაში მოიპოვებენ საუკეთესო მაჩვენებლებს, დაჯილდოვდებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებით.

დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების შეჯამებისათვის შეიქმნა რესპუბლიკური კომისია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ და ტერიტორიულ კომიტეტებს დავალებათ უზრუნველყონ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების აქტიური მონაწილეობა დათვალიერებაში.

საწარმოთა და ორგანიზაციათა დათვალიერების შედეგებს შეაჯამებენ 1974 წლის 15 იანვარს და განიხილავენ პარტიული, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციათა ფართოდ ჩაბმით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, პროფკავშირთა საოლქო საბჭოები, რესპუბლიკურ და ტერიტორიულ კომიტეტებს დავალებათ უზრუნველყონ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების აქტიური მონაწილეობა დათვალიერებაში.

საწარმოთა და ორგანიზაციათა დათვალიერების შედეგებს შეაჯამებენ 1974 წლის 15 იანვარს და განიხილავენ პარტიული, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციათა ფართოდ ჩაბმით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ღონისძიებათა განხორციელებაში.

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ!



ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲘᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ — სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს ლოს ვეტერანი მფრინავები, ტუ-104 ხომალდების მეთაურები გიორგი ქურციძე (მარცხნივ) და პეტრე საველიევი. ორივენი დიდი სამამულო ომის მონაწილენი არიან და ბრძოლებში დამსახურებული აქვთ მთავრობის ბევრი ჯილდო. სამოქალაქო ავიაციაში ჩინებული მუშაობისათვის გიორგი ქურციძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და პეტრე საველიევი შრომის წითელი დროშის ორდენით. პეტრემ ათ მილიონ კილომეტრზე მეტი იფრინა, გიორგიმ კი ბაერში დაჰყო ჩვიდმეტი ათასი საათი. სამოქალაქო ავიაციაში მრავალი წლის მუშაობისას მათ გადაიყვანეს ათეულ ათასობით მგზავრი ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში; მორიგ რეისში მიფრინავს „ტუ-104".

ვლ. ბინზბურგისა („კომუნისტი") და ა. რუხაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ Ე. ᲤᲝᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

17 აგვისტოს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟ. შპრაიერის შეხვედრა.

ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი ხუთწლეულის (1976-1980 წლების) გეგმების კოორდინაციისათვის ერთობლივ მუშაობასთან დაკავშირებით განიხილეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის თეული რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები და შეთანხმდნენ, რომ ორივე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები შეიმუშავებენ წინადადებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ, რომელთა მიზანი იქნება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოება და სრულყოფა. ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ იმ პრინციპულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომლებიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების უზრუნველსაყოფად მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ორივე ქვეყნის მთავრობებმა, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა ყირიმის შეხვედრაზე, და მათი ეკონომიური თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებას.

შეხვედრა და საუბარი მიმდინარეობდა გულითად, ამხანაგურ ვითარებაში. საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. ინოზემცევი. უნგრეთის მხრივ მონაწილეობდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ლაბარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში პ. ვაიი.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა საუზმე გამართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟ. შპრაის პატივსაცემად. საუზმეზე, რომელშიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ტ. მაზუროვი, სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

იმავე დღეს ე. ფოკი სამშობლოში გაემგზავრა. (სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციული სააგენტოს ინფორმაცია).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

18 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აქტივისტთა ჯგუფთან, რომელსაც მეთაურობს შუა ინგლისის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ფრენკ უოტერსი. ბრიტანეთის კომპარტიის წარმომადგენლები მოგზაურობენ საბჭოთა კავშირში, ეცნობიან ადამიანების ცხოვრებასა და შრომას.

შეხვედრაზე იყვნენ დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომის წევრი, კომპარტიის ლონდონის ორგანიზაციის თავმჯდომარე მაიკლ ჰექსი, პარტიის ვეტერანები ჩარლზ დოილი, მერი დოილი და ბაზილ ბარკერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკა კომუნისტთა სახელით ინგლისელ ეხვანგაგებს გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე. მან აღნიშნა, რომ მ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უპირველესი კლასიფიკაციის გადაწყვეტილებამ ახალი შინაარსი შეიტანეს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში. ბევრი საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტის მოღვაწეობაში უკვე აშკარად შეინიშნება დადებითი ტენდენციები.

სწორედ იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ მუშაობას ახალ მოთხოვნათა დონეზე, რა პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უპირველესი კლასიფიკაციის დადგენილებათა შესაბამისად, ვთხოვეთ პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს გ. კვარაცხელიას მოეთხრო „კომუნისტის“ მკითხველებისათვის.

ზუგდიდის ახალი მაჯისცემა

დისციპლინა, ფესვიგი — ყველაფერში!

ეროვნული და პოლიტიკური აღმავლობაა ჩვენს რესპუბლიკაში. ადამიანის გულს იმედითა და სიხარულით აღავსებს დღევანდელი ვითარება. შემოქმედებითს, შთაგონებულ შრომას უშუალოდ ერწყმის პრინციპული, მტკიცე ბრძოლა მანკიერი, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და საზიანო მოვლენების აღმოსაფხვრელად, რომლებიც წლების მანძილზე ასე აფერხებდნენ სახალხო მეურნეობის განვითარებას, შშრომელთა საარსებო პირობების გაუმჯობესებას.

მაგრამ არც თუ ისე ადვილია ამ შედეგების სწრაფი აღმოფხვრა. ისინი კვლავაც რამდენადმე შეუშლიან ხელს ჩვენს წინსვლას.

როგორც ყოველთვის, ახლაც საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ უძღვება ამა თუ იმ დარგს, რა ავტორიტეტით სარგებლობს იგი ხალხის თვალში. ამიტომ, საუსებით ბუნებრივია, პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი დიდ სიფრთხილეს იჩენს კადრების შერჩევასა და განაწილებაში. შესაძლებელ კანდიდატურათა შორის საუკეთესო ობიექტური არჩევნის მიგნება ობიექტურ განვრეტას და ალღოს მოითხოვს. ახალგაზრდა, გამოუცდელ მუშაკებს როცა ვაწინაურებთ, ცხადია, ერთგვარ რისკზე მივდივართ, მაგრამ გვჯერა პირველ რიგში მათი შემართებისა, კეთილსინდისიერებისა და საქმისადმი ერთგულებისა. კადრების შერჩევისას ვითვალისწინებთ იმას, თუ როგორ შეუდგება ფართო საზოგადოებრივობა ჩვენს არჩევანს.

უკანასკნელ ხანს კადრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები ხდება. პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო საშუალებებზე გაიგზავნენ უფრო უნარიანი და კეთილსინდისიერი მუშაკები. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტი ბ. გულუა. მან ხულ მოკლე დროში თავი გამოიჩინა როგორც ახალგაზრდობის ღირსეულმა წინამძღოლმა; ბ. ჯიქია წლების მანძილზე ეწევა ნაყოფიერ კომკავშრომულ და პარტიულ მუშაობას. იგი ამ ბოლო დროს სათავეში ედგა ჩვენი ქალაქის ყველაზე დიდი საწარმოს — ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციას. ბ. ჯიქია ამას წინათ დაწინაურებულ იქნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნად; საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების მმართველად გაიგზავნა კომუნისტი კ. ნურწუმია, რომელმაც თავდაზე უნარიანად მოჰკიდა საქმეს ხელი, იჩენს პრინციპულობას და დარღვევებისადმი შეურიგებლობას; პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგედ დაწინაურებულია ნიჭიერი ახალგაზრდა ზ. ცხონდია, ყველა-კარაქის ქარხნის დირექტორად და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგედ — პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორები რ. ბუსკანდე და გ. მიქესაია. ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად პარტიის საქალაქო კომიტეტის პარატიდან გაიგზავნა კ. თორია, სამედიცინო სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა ახალგაზრდა ექიმი დ. აბასაძე და სხვ.

კვლავაც საჭირო იქნება შეეცვალოთ ულირსი მუშაკები, რომლებიც წლების მანძილზე ეგუებოდნენ სიმახინჯეს, დაკარგეს სიახლის გრძნობა და ფეხს ვერ უბამენ დღევანდელობას. მათი ადგილი ახალმა, პერსპექტიულმა კადრებმა უნდა დაიკავონ.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს შორის უწესრიგობამ განსაკუთრებით ვაჭრობაში იჩინა თავი. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ამ დარგმა ჩვენს ქალაქში, სამწუხაროდ, დაკარგა საბჭოთა ვაჭრობის ნიშნები. თვითნებობამ აქ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ცალკეულმა პირებმა, სავაჭრო ობიექტები პირადი გამდიდრების წყაროდ აქციეს. სავაჭრო ქსელში მოალათებული იყვნენ ნდობადაკარგული მუშაკები, რომელიც საკუთარი სახსრებით მიეგზავნებოდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, თვითშესყიდვის წესით შემოჭრილნდით დიდძალი იმპორტული საქონელი და ზედმეტ ფასებში ყიდდნენ. ასე ითელებოდა საბჭოთა ვაჭრობის პრინციპები, ჯიბეს ისქელებდნენ უსინდისო ადამიანები, მომხმარებელი კი მოტყუებული რჩებოდა. როგორც იტყვიან, განმკითხავი არავინ იყო.

ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ამიამად დიდ მუშაობას ეწევა ვაჭრობაში წესრიგის დასამყარებლად. მიმდინარე წელს სხვადასხვა დარღვევებისათვის დაახლოებით ვაჭრობის მრავალი მუშაკი, მათ შორის სამუშაოდან დათხოვნილი ან პასუხისგებაშია მიცემული 50. ვაჭრობას ჩამოშორდნენ გაქნილი საქმოსნები, რომლებიც წლების მანძილზე გარკვეულ „ამინდს“ ქმნიდნენ. თანმიმდევრულად ხორციელდება დახლში ზომუშავე მამაკაცების ქალებით შეცვლის კურსი.

დიახ, ვაჭრობა ჩვენი მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ის, რაც გაკეთდა, სრულებითაც არ არის საკმარისი, მითუმეტეს, ვაჭრობის წესების დარღვევებს კვლავ აქვს ადგილი. უწესრიგობათა შესახებ პრინციპული მსჯელობა გვქონდა ამას წინათ საქალაქო პარტაქტივის კრებაზე.

დღეს, როცა გაჩაღებულია დაუნდობელი ბრძოლა ჩვენი ცხოვრების წმიდათაწმიდა იდეალების გამქირდავთა წინააღმდეგ, უფრო მეტად გაიზრდება მოვალეობა და პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოების, პირველ რიგში კერძოდ მილიციის მუშაკებისა. სამწუხაროდ, კანონის ფეხზლად მოდარაჯეთა რიგებში ვხედებით კანონის დამრღვევებსაც. ლურჯფარაჯიანში კანონის გუშაგს, შეურაცხყოფილის მხსნელს და მშველელს ხედავენ. და ეს ოდესმე ერთ-ერთ ადგილზე ამ ადამიანებმა ჩადეს ბინადარ ოჯახებს. ეს ფაქტი ბევრ ადამიანს ეგონა ოცნებად. ეს ასეა. ეს ასეა. ეს ასეა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ხაზგასმით იყო ლაპარაკი თუ რა დიდი პერსპექტივები აქვს ჩვენს მთიან რაიონებს, მთელ რესპუბლიკას, რათა იგი უახლოეს მომავალში იქცეს არამარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო ტურიზმის დიდ ბაზად.

სწორედ ამ მნიშვნელოვან პრობლემას, მთის რაიონების ეკონომიკის, კულტურისა და ყოფაცხოვრების საკითხებს ეხება ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის ა. თომაძის ნარკვევი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

რამე-რუმე მთისა...

იყო მთის კაცი, მართლაც რომ საამაყოა!

რამე-რუმე მთისა. ვმედავ და ამ სათაურით ვწერ უბრალო წერილს, თან მეუხერხულება კიდეც, რადგან ამ სათაურს არქმევდა თავის ზოგიერთ სტატიას ვაჟა-ფშაველა. ახლა ხევსურეთზე ბევრი წერს, მაგრამ უფრო მეტს ლაპარაკობენ აქაურ საოცარ ბუნებაზე, ეგზოტიკაზე, წარმტაც პეიზაჟებზე (თუმცა ამას ვერც ჩვენ გავიქცევთ). მაგრამ ცოტას ამბობენ აქაურთა ლხინზე და ჭირზე, ჩრდილზე და ნათელზე.

შეეცდები მკითხველს მოვუთხრო, რა აღელვებს, რა უხარია ან აწუხებს მთის კაცს. რა არის საჭირო, რომ მთაში აღარ კვნესოდეს უღელ დარჩენილი სახლის კარები, რომ ხევსურეთი ხევსურეთობდეს, რომ ყველგან ხალხმრავლობა იყოს, სიცოცხლე ჰყვაოდეს...

დავიწყოთ თავიდან, თუ გნებავთ დათვის ჯვრიდან, რომელსაც ზღვის დონედან 2800 მეტრზე აღუმართია თავისი მწვანე შუბლი, აქედან ორივე მხარეს ხელისგულივით ჩანს პირაქეთი და პირიქითი ხევსურეთი. ღღეს მზიანია და ფვალი ვერ ძღება პირაქეთის სანახაობით, მთელ მიდამოს ოისფერი გამქვირვალე ნისლი დასდებია, ყველაფერს მოხასხასე მწვანე ფერი აქვს, თეთრი ღილებივით მოსდებია მთის ფერდობებს ცხვრის ფარები.

ვდგავართ და თვალს ვერ ვაშორებთ სანახაობას, ადგილიდან დაძვრა გვეჭირს, უღელტეხილის მეორე მხარეს კი არაფერი ჩანს, ღრმა ხეკიდან მოიზლაზნება ნისლი დინჯად, აუჩქარებლად, უდარდელად. ახალ-ახალი ბუნდები ნისლისა — მთასაგით დიდრონები — მიფარფატებენ ხეობიდან ხეობაში, ნისლს გაუვლია ჯურღმულები და ქედვეთ ხეობაში აღარც გზა ჩანს და აღარც არღუნი.

რძისფერ ნისლში გავიარეთ გზა უღელტეხილიდან ლებაისკარამდე, გვერდზე დარჩა ძველისძველი ციხეკოშკი და არღუნს გაღმა მიტოვებული სოფელი, აღარ გაისმის ადამიანის ჩქამი, აღარ ამოდის ბოლი ხევსურთა სახლებიდან ლებაისკარში, იქაური „ზწკალიანი ვეფხვები“ ბარში და სახლებულან, ადგილის დედა მიუტოვებიათ უპატრონოდ, შეუბრალებლად... მაგრამ მარტო ლებაისკარი როდია ამ დღეში, ბევრ ნასახლარს და წასოფლარს ნახავთ გზის ნაპირებზე თვით ბატლამდე. სამგიეროდ, არღუნის გასწვრივ მეცხვარეებს დაუდევთ ბინები, აქ გავლა სპშიც არის, მოზვერის ოდენა მყიფრებს შეუძლიათ მხედარიც ჩამოაგდონ ცხენიდან. ცხვრის ახლო ყოფნა აბინძურებს მდინარეს, მიუხედავად მრავალი თხოვნა-გაფრთხილებისა, რომ ცხვარი და ბინა მაღლა მთაში იყოლიონ, შეეცხვრე მაინც თავისას ცდილობს და არსადაც არ მიდის.

ნისლი თანდათან გაიფანტა. ალბათ რაც საქართველოში მთებია, ყველას ბატლის ხეობაში მოუყრია თავი. საავტომობილო გზა რომ არ გაეკრათ, ეს მთები და შესანიშნავი პეიზაჟები ბევრისათვის მიუწვდომელი იქნებოდა. ახლა აქ თავისუფლად დაქრიან ავტომანქანები. გზის ნაწილი უკვე ჩაუბარებია ფასანაურის საგზაო უბანს, მაგრამ როგორც ჩანს, უბანი ვერ აუდის გზის მოვლა-პატრონობას, ბევრ ადგილას ახალ გზაზე წყალი მიმდერის, რომელიც თანდათანობით ანგრევს შარაგზას, გასაკეთებელია არხები, ბოგირები, საგზაო ნიშნები. უმჯობესია თუ შეიქმნება ახალი საგზაო უბანი, რომელიც მოუვლიდა დაახლოებით 100 კილომეტრიან ტრასას — ქინვალიდან შატილამდე.

ეჰა შატილიც! ფეხშეუხრელად, მკვიდრად, მრისხანედ დგას შატალის ციხე, დგას ერთფერადად ზამთარ-ზაფხული, ერთ მთლიან მთას ჰგავს, ქვად გადაქცეულს. დგას ცისა, მზისა და ქვეყნის პირისპირ, ზოგან ჩამავებული, ზოგან ჩაყვითლებული, სხვაგან ჩალურჯებული, ნაკაწრნალდრი, ათასი ჭეჭეჭილისაგან, წვიმისაგან ჩამონგრეული, მაგრამ ისევ მხნედ, ვაჟკაცურად გამომცქერალი.

ძველისძველ ჭრილობებს იშუშებს ახლა შატილი. მიმდინარეობს მისი აღდგენითი სამუშაოები. ვესაუბრეთ ლაზარე კალიჯევს — კულტურის სამინისტროს სპეციალური რესტავრაციის სამეცნიერო საწარმოო სახელოსნოს თანამშრომელს: — შატილის 56 კოშკისა და სხვა ნაგებობათა აღდგენას ხუთი წელიწადი მაინც მოუნდებითო, — თქვა მან, — ეს საქმე, რომელსაც ა. ნეიშვილი ხელმძღვანელობს, 700 ათასი მანეთი დაჯდება, მუშახელი საკმარისი გვყავს, თვითონ ხევსურები შრომობენ თავდადებულად. ესენი არიან შატილშენები: სადარა, აბა, კობა, გოგი, ბასილა, კვირია, გიორგი ჭინჭარაულები, მახვილ გოგოჭური, ჩვენ დასახმარებლად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებიც მოვდნენ, შატილის აღდგენაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მომავალ არქიტექტორებს. ტურისტულ სამყაროს რამდენიმე წელიწადში შეემატება ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — შატილი.

საოცარი ციხე-სიმაგრეების კუთხეა ხევსურეთი. აიღეთ მუცოს ციხე, როცა ქვემოთ, მდინარის ნაპირას დგახარ, თვალს ვერ უწვდენ ცაში აღმართულ კოშკებს. ისტორიის მცოდნენი ამბობენ, რომ იგი ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც მტერს ვერ გაუტეხია, არავის აუღია, ერთ-ერთი გაუტეხელი ციხეა და ამიტომაც იზიდავს მრავალ ტურისტს, სიძველეთა მრავალ მოტრფიალეს.

შატალის ციხეში რომ ვართ, ნიავს მოაქვს ტრაქტორების, ბულდოზერების, ამწე კოშკურებისა და ავტომანქანების გუგუნი (ასეთი ხმაური არასოდეს არ მოესმინა შატილს). ციხედან არც ისე შორს, შენდება ჰიდროელექტროსადგური მდინარე შატალისწყალზე. უკვე ნაყრილია სადგურისათვის საჭირო მიწები. ინჟინრს იქით, ორდოტის ხეობაში იჭრება საავტომობილო გზა, რომელიც ბუცოს ჭალამდე მიაღწევს. ამ ვაკეზე გაშენდება ხევსურთა კომპაქტური სოფელი. ჩვენ იქ ყოფნაში შშენებლები ხდის აგების სამზადისში იყვნენ. გავიცანით ახალგაზრდა მებულდოზერე ა. კვირიკაშვილი ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევიდან, საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი მთაში წამოსულა სამუშაოდ.

შატილისწყალი პირველად ამ ათი წლის წინათ ვნახე, მისი ტალღები მაშინ რძეზე თეთრი იყო. წყაროს სუფთა, ანკარა წყალი მოედინებოდა ხმაურითა და ზათქით. ბევრჯერ მინატრია ეს მდინარე ყოფილიყო სადმე დედაქალაქს ახლოს, მაშინ თბილისი მსოფლიოში ყველაზე სუფთა და ყველაზე ძლაკერი წყალსადენის მფლობელი იქნებოდა. ახლა მდინარეს ფერი შეუცვლია, უფრო რუხი ფერისა ჩანს. რაშია საქმე? ახალმა გზამ მდინარის ნაპირას რომ გაიყვანეს და ელსადგურის არხის გაჭრამ, შეუცვალა ფერი წყალს, უბინოება დაუკარგა. მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრების ლოგიკა, ყოველგვარ მოვლენას აქვს თავისი პლიუს-მინუსი.

მომავალ ელსადგურთან კლდეთა სიჯიუტეს ებრძოდა წყალტეხილი მექანიზატორი შალვა ავალიანი. ეს ახოვანი, მზისა და ქარისაგან გაშავებული ვაჟკაცი შარშან მოსულა შატილში „რკინის ხარით“ და თავისი პირადი წვლილი შეაქვს ერთ დროს „ღვთისა და კაცისაგან დავიწყებული“ მხარის — ხევსურეთის წინსვლაში.

გვკერა, რამდენიმე წელიწადში შატილში, ისე, როგორც მთელ ხევსურეთში, ყველაფერი იქნება ადამიანის თანამედროვე ცხოვრებისათვის, მაგრამ გულსატკივნა იმაზე ფიქრი, თუ ვინ ისარგებლებს ამ სიკეთით.

რა დასამალია, ხევსურეთის ბინადარნი თანდათან კლებულობენ, განსაკუთრებით ახალგაზრდობა მიიწევს ბარისაკენ, როგორც მცენარე მზისაკენ. მოსახლეობის მიგრაცია, სოფლიდან ქალაქებში სწრაფვა მარტო ხევსურეთის ჭირი როდია, მარტო მთა როდია დაავადებული ამ ჭირით, არამედ ჩვენი ქვეყნის ბარის სოფლებიც. იყო დრო, როცა ვაჟა ამბობდა: ღღეს მხოლოდ ხევსურეთია მტკიცედ ძველს წესზე: ხევსურს ვერც კაცს, ვერც დედაკაცს ვერ იპოვით ღღეს რომ შინ მომზადებული შალის ტანისამოსი არ ეცვას, და თუ ხევსურებმაც თავიანთი „ტალავარი“ ნაყიდ ფარჩისებზე გაცვალეს, მაშინ ყოვლადშეუძლებელია ხევსურეთში ხევსურეთის არსებობა...

შესაძლოა, ვაჟა ასე რომ მსჯელობდა მარტო ხევსურთა „ტალავარი“ როდი ჰქონდა მხედველობაში, ალბათ ის სხვა უფრო მნიშვნელოვან რამესაც გულისხმობდა. დარწმუნებული ვართ, როგორ გაიხარებდა მგოსანი, როცა ავტომანქანით „მდინარეგვივით“ ჩარგლიდან შატილს ჩავიდოდა და განათლებულ ხევსურთ ესტუმრებოდა, რომლებსაც უკვე აღარ აცვიათ ძველებური ტალავარი, მაგრამ ამავე დროს, როგორ დიდონდებოდა ხევსურთა, საერთოდ მთის კაცთა ასეთი ნაკლებობით, იქაური სოფლების ასე დაცარიელებით.

სოციოლოგები გვიმტკიცებენ, რომ მოსახლეობის მიგრაცია ობიექტური მოვლენაა და მას წინ ვერ აღუდგებით, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთლად სწორი. თუ კი მიგრაციას ერთგვარ ავადმყოფობად ჩავთვლით, მაშინ მისი გამომწვევი მიზეზებიც უნდა ვიცოდეთ და მისი წამალიც ადვილად მოიძებნება. მაგ, გავერკვეთ რა მიზეზით მიდის მთის კაცი მშობლიური კუთხიდან, რატომ ანაცვალებს იგი მთის ბარს, რომელსაც ხევსური აღრე სათოფეზ არ ეკარებოდა, ათასში ერთხელ თუ ჩავიდოდა ორიოდე გროშით მარილისა და ასანთის სასყიდლად.

საქმე უპირველესად იმაშია, რომ შეიცვალა ცხოვრების პირობები, ახლა მთაში ცოტანი არიან ისეთნი შინნაქსოვი ხამის ტანსაცმელი რომ აცვიათ, ამაღლდა ხალხის გემრჯენება, გაიხარდა მისი სულიერი მოთხოვნილება, რაკიღა ბარის ცხოვრებას გემო გაუგო, ხევსური მთაში აღარ დგება. შატილის მაღალ მთებს, ბარის აყვავებულ ბაღ-ვენახებს ამჯობინებს. მოხუცი ხევსური ტრიხი ჭინჭარაული გვეუბნებოდა გულახდილად: რაისთვინ მინდის ძროხა, გამარჯვებაში ერთ ვაშლის ხე, ხუთ ძროხის შამოსავალს იძლევის...

მაშასადამე მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზია ლტოლვა უკეთესი, ადვილი ცხოვრებისადმი. მთებში კი, ყველა ადამიანი როდია დასაქმებული, ამჟამად არ არის საშუალება, რომ ყველას ჰქონდეს თავისი შრომისა და ნიჭის კვლობაზე მაღალი ანაზღაურების მიღების საშუალება.

მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს, ვიტყვით, რომ მთელი ფშავ-ხევსურეთი, დაახლოებით 78 სოფელი, ვაჟა-ფშაველის საბელობის მაღაროსკარის კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. რა თქმა უნდა, ასეთი გიგანტი ძნელი სამართავია, კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობა დასაქმებული არ არის და ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობიდან არავითარ შემოსავალს არ ღებულობს. მართალია, ყველას აქვს პირადი მეურნეობა, ჰყავს პირუტყვი, მაგრამ მისი შენახვა, განსაკუთრებით ზამთრობით ადვილი როდია. მით უმეტეს, პირადი მეურნეობის პირობებში. მე თვითონ მინახავს სვილის აღება, როცა ხევსურები სვილს კი არ მკიდნენ, არამედ ფესვებიანად თხრიდნენ, რადგან ფესვიც პირუტყვის საკვებად გამოდგება.

კოლმეურნეობადან ათეული კილომეტრებით დაშორებული რომ არის და, საზოგადოებრივ შრომაში არ მონაწილეობს, ხევსური ორმაგ ზარალს განიცდის — მატერიალურს და მორალურს, ჯერ ერთი მას არავინ არ ეხმარება საარსებო საშუალების მოპოვებაში, ეს მან თავისი პირადი მეურნეობით უნდა მოიპოვოს, რომელიც მთის პირობებში აც ისე ადვილია, ამასთან მან არ იცის კოლექტიური შრომის სიტკბო, მეორეც, იგი მოკლებულია იმ კეთილ, აღმზრდელობით გავლენას, რასაც კოლექტივის თვითეული წევრი განიცდის, ამის შემდეგ, ძნელი და უმართებულოა გამტკიცუნო ხევსური, როცა ის უკეთეს მდგომარეობას არსებობისას ეძებს.

ამიტომაც საჭიროა, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ **ყველა მთიელი — ქალი იქნება თუ კაცი — დავაკმაყოფილოთ და სათანადო ანაზღაურებაც მივცეთ.**

კი, მაგრამ რა საქმე გამოვძებნოთ ისეთი, რომ ხალხი დავაკმაყოფილოთ მთაში, იქ ხომ არც საწარმოა და არც რაიმე მეურნეობა: — იკითხავს მკითხველი.

ამ კითხვაზე პასუხს თვით ხევსურის მეურნეობა იძლევა. საქმეყანდ გაუთქვამს სახელი ხევსურულ ძროხას — რძისა და კარაქის ამ მინიატურულ ქარხანას. მომცრო ტანის ეს პირუტყვი თხოულობს მცირე საკვებს, იძლევა ექვსჯერ და რვაჯერ მეტ რძეს, ვიდრე თვითონ იწონის, ამასთან რძე ხასიათდება მაღალცხიმიანობით, კარგად არის შეგუებული მთის პირობებს. ხევსურის ცხოვრებაში ფურს ყოველთვის გადაწყვეტი ადგილი ეკავა. შემთხვევითი არ არის, რომ მთაში ამა თუ იმ საგნის ფასი და თვით კეტნაობაში მოყენებული ჭრილობის საზომაური ძროხა იყო.

ხევსურეთში ახლაც ბევრი ძროხა ჰყავთ. განა არ შეიძლება შევქმნათ რამდენიმე საჯიშე ფერმა, შევკრიბოთ ხევსურული ძროხების ყველაზე საუკეთესო ეგზემპლარები, მოვაშენოთ მათი შთამომავლობა, გავამრავლოთ რესპუბლიკის სხვა მაღალმთიან მეურნეობებში, ვაწარმოოთ რძე და კარაქი. ეს დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემდა და შემოსავლით სავსებით უზრუნველჰყოფდა მთის მოსახლეობას.

ამას გარდა, შატილში და ზოგიერთ სხვა სოფელში, უნდა აშენდეს **ტურისტული ბაზები,** რომელსაც დიდძალი მუშა ხელი დასჭირდება, ალბა, მოსულ სტუმრებს ვინ გაუწევს მასპინძლობას თუ არა თვითონ მთის შვილები, ასე რომ ტურიზმით მომსახურების სფეროც მოგვცემს მოსახლეობის დასაქმების დიდ საშუალებას.

უნდა ავამაღლოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ არის მშვენიერი გზა „ყინვალი-შატილი“ ჯერ კიდევ ჭირს მგზავრობა, არ დაუწესებიათ საავტობუსო მარშრუტი შატილამდე, არ დადიან და, თუ დადიან, იშვიათად ტაქსები. ასე, რომ მგზავრი შემოხვევითი მანქანის მოლოდინშია. არ იქნა და არ მოწესრიგდა ვერტმფრინავის სარეისო მიმოსვლა „შატილი-თბილისი“, ამის გამო მოსახლეობას უჭირს დედაქალაქსა და რაიონულ ცენტრში მგზავრობა. ამის მოწესრიგება კი შედარებით ადვილად შეიძლება.

შატილში შეეხვედით ამავე სოფლის შვილს, მეცნიერ მუშაკს მიხეილ ჭინჭარაულს, ბუნებრივია დავინტერესდით, თუ რას ფიქრობს იგი შატილის მომავალზე, იმაზე, რომ ოცდაათიან წლებში შატილში 77 ოჯახი იყო? ახლა კი მხოლოდ 11 კომლია. მან გულისტკივილით თქვა: — მართლაც, საამაყოა **იყო** მთის კაცი, მაგრამ ამისათვის საჭიროა მთაში ცხოვრობდე და შრომობდე, თავად დიდი ხალისი მაქვს დავუბრუნდე სოფელს, მებრალება და მენანება აქაურობა, მაგრამ რა ვქნა, არ ვიცი, ბევრი რამ არის გასაკეთებელი აქ... ბევრია გასაკეთებელიო, რომ მოგახსენეთ, პირველ რიგში სკოლას ვგულისხმობ, ომამდე შატილში ყოფილა დაწყებითი სკოლა თავისი ინტერნატით, სკოლა ახლაც არის, მაგრამ აღარ არის ინტერნატი. ასე, რომ შორი სოფლებიდან ბავშვები სკოლაში ვერ დადიან. ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი ყველას, სწავლის მსურველს არ იტევს. ნახევარი ხალხი ბარში იმიტომ მიდის, ბავშვებს ვერ ვასწავლითო.

მე მგონია ესეც არის მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი.

შატილი, ორდოტი, მუცო, გიორგიწმინდა, არხოტი და სხვა მთის სოფლები რაიონული ცენტრიდან ასზე მეტი კილომეტრით არის დაშორებული, ზამთრობით დათოვს ჯვარი იკეტება. რა ჰქნას აქ მაცხოვრებელმა კაცმა ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის დროს, ვის მიმართოს, ვის ანდოს სიცოცხლე, ძველი ექიმბაშები ხევსურეთში აღარ არიან, ექიმი კი ამ არეულ-დარეულ სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვნი.

ამბობენ ამ სოფლებს ექიმი შტატით არ ეკუთვნისო, მოსახლეობა საკმარისი არ არისო. საოცარია. ომამდე ბარისახოში, შატილში, ბაცალიგოში, ღილში და სხვაგან ექიმები მოღვაწეობდნენ. ხევსურები ახლაც სიამოვნებით იგონებენ მათ სახელებს: ერასტი ბალიაური, არტემ ჭუტიძე, ლოლა ალავიძე, ჯანო ციცქიშვილი, დარეჯანი... შატილში აოსებობდა რვაოთახიანი საავადმყოფო, ახლა აღარც საავადმყოფოა და აღარც აფთიაქი.

განა ეს ხალხთა განთესვის მიზეზი არ არის? რა გაუკირდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომ, როგორც გამონაკლისი, ხევსურეთში ექიმები არ იყოლიოს.

გაბეთი, ეურნალი, წიგნი პურთან ერთად, ჩვენს ქეყანაში ადამიანის სულიერი მოთხოვნილების აუცილებელი საგანია. აბა მკითხველმა წარმოიდგინოს თავის თავი გადაკარგულ მთებში ამ სულიერი საზრდოს გარეშე. შატილში იყო პერიოდი, როცა თვეების განმავლობაში გაზეთსაც არ ღებულობდნენ, სხვა სოფლებშიაც არ არის უკეთესი მდგომარეობა. კავშირგაბმულობის დუშეთის კვანძის უფროსი ა. ბრაჭული დაპპირებია ხევსურებს, „ეარაში ორჯერ მაინც საფოსტო მანქანას გამოვგზავნიო და ენახოთ, როგორ შესრულდება ეს დაპირება.

შატილში არ არის სასტუმრო სახლი. ადგილობრივ ტურისტთა ბაზაში ფართობი თავად სტუმრებს და მასპინძლებს არ ჰყოფნით, არ არის პურის საცხობი, ელეოლმოწყობილი მაღაზია, აბანო, საპარიკმახერო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა ობიექტები, აქ ბევრია ისეთი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ტელევიზორზე, უბინაოდ არიან ჭაკური დაწესებულებების თანამშრომლები. შატილის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა გოგოჭური ყოველდღე სახლში ფეხით დადის მთის კილომეტრზე.

საბაზთო წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. ამას უნდა დავემატოთ ისიც, რომ ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება დადგენილება „საქართველოს სსრ ფშავ-ხევსურეთის მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ“, რომლის მიღებიდან საკმარისი დრო გავიდა. მოსალოდნელი იყო რესპუბლიკის სამინისტროები და ცალკე უწყებები, რომელთაც დავალებული აქვთ ფშავ-ხევსურეთის სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები, თავიდანვე ენერგიულად მოჰკიდებდნენ ხელს პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებას, მაგრამ მთიელთა მოლოდინი არ გამართლდა.

კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კავშირგაბმულობის, სასოფლო მშენებლობის და მშენებლობის სამინისტროები, აგრეთვე ცეკავშირის გამგეობა დღემდე არსებითად არაფერს არ აკეთებენ იმისათვის, რომ ფშავ-ხევსურეთი უახლოეს ხანში თავისი ცხოვრების დონით გაუთანაბრდეს საქართველოს სხვა მთიან რაიონებს.

როცა სიტყვა საქართველოს ამ ულამაზეს მხარეზე ჩამოვარდება, ხშირად გაისმის ხოლმე მისი **ბუნებისა და ხალხის შესაქები** სიტყვები, მაგრამ ლამაზი სიტყვები, როგორი გულწრფელიც არ უნდა იყოს, საკმარ არ შეელის თუ პრაქტიკულად არ განხორციელდა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება: გვკერა, რომ მისი განხორციელება ძირეულად შეცვლის ამ მხარის სახეს.

აი, რა ფიქრები აღეძრება ადამიანს, როცა იგი ზაფხულის ამ დღეებში ხევსურეთში იმგზავრებს.

...უკან რომ გბრუნდებოდით, ერთხელ კიდევ დავლე შატილს წყალი, რომელიც რატომღაც უფრო დაწმენდილი მეჩვენა, ალბათ იგი კვლავ ბრილისებური გზებება ახლო მომავალში. მოვდიოდი და გზაში დიდხანს მოგვაცილებდა ეიაკა ის სიტყვები მშობლიურ მთებზე რომ უთქვამს:

— სდგანან და ელიან, გული სტკივათ, ძალიან სტკივათ... ელიან ვის? ან რას? რაღაცას, დიახ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა...

ეს ახალი ალბათ განახლებული ხევსურეთია.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

აგვისტო. შატილ-დუშეთი.



ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

პასუხად ჩუვაშ ამხანაგებს

ამ დღეებში ჩუვაშეთის ასსრ რესპუბლიკის ჩებოქსარის რაიონიდან მივიღე ასეთი შინაარსის წერილი:

„ნიამოვნებით გაცნობებთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ცუდად როდი მუშაობს მეცხრე ხუთწლედის მესამე წელს. ამას წინათ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე თქვენ აგირჩიეთ საპატიო წევრად „ხსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის“ კლუბისა, რომელიც ჩვენ დავაარსეთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ოქტომბრის ბოლოს — ნოემბრის დასაწყისში ოთხხუთ კაცს გვინდა ჩამოვიდეთ თქვენთან თბილისში და გადმოგცეთ „მეგობრობის“ კლუბის საპატიო წევრის წიგნაკი.

ველით ჩვენს ჩუვაშეთის მხარეში, როცა თქვენ ინებებთ.

სიყვარულითა და კოლმეურნეთა დავალებით:

კოლმეურნეობა „გმირი“ თავმჯდომარე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲢᲐᲠᲐᲜᲪᲔᲕᲘ,

ჩუვაშეთის ასსრ, ჩებოქსარის რაიონი, კოლმეურნეობა „გმირი“.

1973. 24 — VII“.

□ □

რაც რამ ავაგეთ,
რაც რამ ვამაგრეთ,
ჩვენი ჰესებიც, ჩვენი არხებიც, —
ასჯერ მაღალი,
რაც ჩვენ ვამაღლეთ
ეს არის ძმობა ჩვენი ხალხების.

სხვა უკეთესი,
სხვა უკეთესი
არ არის ძმობა უფრო მღელვარი;
მე ერთი ჰანგი
ვარ მის კედელში,
მე ამ დიდ სახლის ვარ მომღერალი.

მე ძველი ხოტბა
ვარ ამ საფიცრის,
მის წვეთშიც ვგრძნობდი მის ბობოქრობას;
სიცოცხლეს ახალს
მთელ დედამიწის
ვაშა ჩვენს ძმობას, ჩვენს მეგობრობას!

ჩვენ შორის გზები,
სტეპი ათასი,
ათასი მთა და კლდე დგას შუაში;
ვაშა იმ ძმობას,
ერთ დიდ კალთაში
გულით რომ უხმობს ქართველს ჩუვაში.

ათასწლის ჭირში,
ბედის ტრიალში
ვართ ჩვენი გზის და საქმის მმართველი;
ვაშა იმ ძმობას,
ერთ დიდ წიაღში
გულით რომ უხმობს ჩუვაშს ქართველი.

ათასმა წყალმაც
შესძრას მთა-ბარი,
ეს უნდა დარჩეს
ტინზე მაგარი,
ეს უნდა დარჩეს შეურყეველი.

ათასიც მისწვდეს
ქვეშ-ქვეშ მძრომელი,
ათასიც დახვდეს
ცრუ და მკრეხელი —
ეს უნდა დარჩეს მიუწვდომელი,
ეს უნდა დარჩეს გაუტეხელი.

როგორც არ გატყდა,
როცა ხანძარი
მოაწყდა მის კარს
ყოვლის მსახვრელი —
ეს უნდა იდგეს როგორც ტაძარი,
ეს უნდა ენთოს როგორც სანთელი.

ათასჯერ კიდეც
გასკდეს ღრუბელი,
ათასჯერ კიდეც გაწყრეს გამჩენი —
ეს უნდა დარჩეს
აწ და მარადის,
ეს უნდა ჩქეფდეს როგორც ჩანჩქერი.

სხვა უკეთესი,
სხვა უკეთესი
არ არის აზრი უფრო მღელვარი,
მე ძველი ხოტბა
ვარ მის კედელში,
მე ამ დიდ ძმობის ვარ მომღერალი.

1973 წ. 2 აგვისტო.

ᲕᲚᲝᲑᲚᲔᲯᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲔᲯᲘᲗ ᲒᲕᲚᲔᲪᲕᲘᲗ

ᲐᲦᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲛᲮᲐᲯᲕᲐᲠᲘ-ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კონგრესმა უმაღლესი სახსწავლებლების წინაშე მკაფიოდ ჩამოაყალიბა ამოცანები, რომლებიც გვიანდელდებულებს აღვზარდოთ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები და განსაკუთრებით გაამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ სწავლის პროცესში ახალგაზრდობას ჩაეუნერგოთ მაღალი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებები. ჩვენს ქვეყანას სჭირდება განსწავლული, ფართოდ განათლებული, მორალურად დახვეწილი ადამიანები, რომლებმაც კომუნისტური საზოგადოება უნდა აშენონ.

ამ მხრივ განსაკუთრებულია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის როლი ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანათა წარმატებით გადასაჭრელად.

ჩვენი აზრით, მომავალი მხატვრის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება დამოკიდებულია როგორც უმაღლესი სასწავლებლის წინაშე მდგომ ამოცანებზე, ისე მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც გარეგან ახდენენ შემოქმედებას სტუდენტთა შეგნებაზე და მათი იდეურ-პოლიტიკური ფორმირების პასუხსაგებ მომენტში ზოგჯერ დისონანსი შეაქვთ.

ჩვენი ახალგაზრდობა დღეს, ცხადია, ის-ადარ არის, რაც თუნდინდ ამ ოცი-ოდე წლის წინათ იყო.

საზღვარგარეთ მოგზაურობა, გამოცემული ლიტერატურის დიდი რაოდენობა თავის გავლენას ახდენს მოვაზალი მხატვრის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ზოგჯერ სხვადასხვა იდეოლოგიური ზემოქმედების გავლენის ქვეშ რომ ექცევა, სტუდენტში ვამჩნევთ გულგრილობას აკადემიური მოთხოვნილებების მიმართ, არაჯანსაღ მიდგომას დაზგური ხელოვნების ტრადიციებისადმი. ხშირად სტუდენტი ადვილად ეჭვმიტანილდება დასაღლეთ ევროპის ბურჟუაზიული ხელოვნების მოდურ მიმართულებებს, იწყებს იმის კვლევას, რასაც უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენ მას არ ვასწავლით. იგი სუბიექტური წარმოდგენების საფუძველზე ქმნის ხელოვნებრივ შინაარსს მოკლებულ კომპოზიციებს, სადაც მას არ აწუხებს არც ნასატის ხიძნელე, არც ცალკეული კომპონენტების ლოგიკური კავშირის ხირთული, არც კოლორიტის წყობა.

ამ დროს აუცილებელია პედაგოგიური პრაქტიკის მთელი იდეურ-აღმზრდელობითი არსებანლის მობილიზება, რამეც გადამწყვეტი როლი უჭირავს ენიჭება ხელოვნებრივი მეცნიერებების, ხელოვნების, ისტორიის და ესთეტიკის კათედრებს. შემოქმედებით კათედრებსა და საზოგადოებრივი დისციპლინების კათედრებს შორის უნდა დამყარდეს ყოველდღიური საქმიანი კონტაქტი, რადგან მათ ამოცანას შეადგენს არა ხელოსნის აღზრდა, არამედ მხატვარ-მემოქმედისა, რომელსაც საფუძვლიანად ესმის პარტიის პოლიტიკა კულტურისა და ხელოვნების დარგში, მაღალიდეური, მაღალმხატვრული რეალისტური, ნაწარმოებების შექმნისაკენ რომ არის მიმართული.

ცნობილია, რომ როგორც ძველი, ისე თანამედროვე ხელოვნების ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრის აზროვნების გაჯანსაღებაში, ხელოვნების მოჭალაქეობრივი და პარტიული ამოცანების გაგებაში.

ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით აღზრდისათვის უნდა შემუშავდეს საზოგადოებრივი დისციპლინების სპეციფიკური კურსი, რომელიც შეიტანდა ოქნება დაკავშირებული სპეციალურ საგნებთან. სტუდენტები კონკრეტული მაგალითებით უნდა აღიჭვამდნენ მარქსისტულ დებულებებს ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, ' ხელოვნების პარტიულობა ან სოციალისტური რეალიზმის მეთოდი თორნული ფორმულების სახით კი არ უნდა ისწავლებოდეს, არამედ ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოებთა ანალიზზე უნდა დაარწმუნოს სტუდენტი ამ დებულებათა ჭეშმარიტებაში. ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებსა იდეოლოგიური დისციპლინების კათედრები სერიოზულ მუშაობას უნდა აწარმოებდნენ ამ მიმართულებით.

მნოლოდ სპეციალური და თეორიული კათედრების შეთანხმებული, კოორდინირებული მუშაობა შექმნის ჩვენს უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში იდეური დონის ამაღლების რეალურ საფუძველს.

დღეს საზოგადოების წინაშე მკვეთრად დადგა ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საკითხი. პიროვნების ჰარმონიულად განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ცხადია, ემოციურად განუვითარებელი ადამიანი აქტიურად ვერ ჩაებმება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილ

ზაფხული ჩვენს კურორტებზე

ამ ერთ სხვა საკეთილოსთან ერთად საქართველო განთქმულია მრავალრიცხოვანი კურორტებით. ყოველ ზაფხულს მისი ჯანმრთელობისა დ დასვენების კერები სავსეა დამსვენებლებითა და ტურისტებით. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე.

ხუროთმეტებზე: დასასვენებელი სახლი „კოლხიდა“ ქ. გაგრაში; სოხუმის ტურბაზის ბალიაუზე.

ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წერილი რედაქციას

ტოპონიმები ქვეყნის ისტორიაა

ტოპონიმიკის შესწავლას—მეცნიერული სიღრმე და გაანალიზება

საქართველოს ბევრ რაიონში კაცი ხშირად გაიგონებს საყვედურებს: ჩვენს სოფელს არაკელერდი, ეპოქისათვის შეუფერებელი სახელი აქვსო. ამის თაობაზე იწერებიან პატეტიკური შინაარსის წერილებსაც და მოითხოვენ ტრადიციული სახელების შეცვლას. ზოგს გულისტკივილს ლეგენდები და ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობის ხალხური გააზრება იწვევს: როგორ თუ მიპაშრა ჭიაა თუ რაო, ჩუმლაკმი — ჩუმსა და ლაყეს ნიშნავსო, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ ასეთ გააზრებას მეცნიერული საფუძველი არა აქვს. ჩვენი დროისათვის შეუფერებლად მიაჩნიათ ყრუნანი, საპარსია, საჩალე, ზნეკვამა და მისთანანი. ბევრი წერილი მოსდის გაზეთის რედაქციებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. ზოგი რაიონის გაზეთში ამ თემაზე დისკუსიებიც ეწყობა.

საბოლოოდ, ეს საყვედურები და დისკუსიები, შიუხედავად მათი ეკლეურნელი ხასიათისა, სამართლიანად არ შეიძლება მივიჩნიოთ. აქ ბევრი რამ ყურმოკრული ცნობებზე ან გაუგებრობაზეა აღმოცენებული და საჭიროა პასუხს მოითხოვს.

ყველა წერილსა და შენიშვნაზე ლაპარაკი ზორს წაგვიყვანდა, ამიტომ ამჯერად მკითხველის ყურადღებას შეეჩერებ მხოლოდ ლანჩხუთის რაიონული გაზეთის („კომუნისტური შრომა“) ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალაზე და ამით ვეპასუხებ ნაწილობრივ იმ წერილების ავტორებსაც, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვენ თავიანთი სოფლების სახელების შეცვლას.

„კომუნისტური შრომის“ ფურცლებზე ლანჩხუთი ჩვენი დროისათვის შეუფერებელ სახელად მიიჩნევა და მისი შეცვლა მოითხოვეს. „ჭალაქის სახელი რომ დიდებულად ეღერდეს“, საჭიროა ჩვენს ქალაქსა და რაიონულ ცენტრს საჩოთირო სახელი ახლოთ, შესაფერი სახელით შეეფეცალოთო.

ამ საკითხზე გაჩაღებულ დისკუსიაში გამოიკვეთა ორი, ერთურთის საპირისპირო, მოსაზრება: ერთნი ლანჩხუთს არაღეერადად თვლიან, მეორენი მას შშვენიერ სახელად მიიჩნევენ.

დისკუსიის მონაწილეებს, ცხადია, რაიმე მიკერძოებას ან შობლიური ქალაქის უპატივცემლობას ვერ დავწამებთ. პირიქით. ორივე მხარეს კალამი ხელში სწორედ თავიანთი ქალაქის სიყვარულმა აალებინა.

ავტორები, რომელთაც ლანჩხუთი საჩოთირო სახელად მიაჩნიათ, მდუმარედ ეყრდნობიან იმას, რომ ეგ ტერმინი ეტიმოლოგიურად საძროხეს (ბოსელს) ნიშნავს და ჩვენს ეპოქას შინაარსით არ ეგუებაო. მართლაც, ლანჩხუთი კოლხური წარმომავლობის სიტყვად არის მიჩნეული ლეთავსართითა და -თ (-ეთ) ბოლოსართით, ჩხე კი მეგრულად სწორედ ძროხას აღნიშნავს (ნ ფუძეში განვითარებულიაო). ეს ეტიმოლოგია კარგახანია ცნობილია, მაგრამ ერთადერთი და საბოლოდ დადგენილი მაინც არ არის. არა გვაქვს დამაჯერებელი ახსნა ძველებურ ლანჩჩეთი ფუძისა. ბოლოს, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ჭანურის ათინურ დიალექტში, მაგალითად, ჩხუ (ვიწურ-ორქაბულსა და ხოფურში მჩხუ) მსხვილს, სქელს, მნიშვნელოვანს, წარჩინებულს აღნიშნავს. თუ ამათ მიხედვით განვსაზღვრავდით ლანჩხუთს, მაშინ მას სხვაგვარი შინაარსის წარმოშობის სახელად მივიჩნევდით.

ამიტომ რახან სახელის ეტიმოლოგია ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, მისი რომელიმე გაგების უცილობელ ჭეშმარიტებად აღიარება და ამაზე დაყრდნობით შორს გამიზნული დასკვნების გაკეთება გაუმართლებელი აჩქარება იქნებოდა.

ესეც რომ არ იყოს, ძველი ტოპონიმის შეცვლის მოთხოვნა ვითომდა საჩოთირო წარმომავლობის მოტივით სრულიად გაუმართლებელია. საქმე ის არის, რომ ყველა ტოპონიმს აქვს თავისი ბიოგრაფია, რაშიაც ჩაჭედილია ჩვენი ისტორია, ბედნიერება და უბედობაც, და ხალხი მას პატივს სცემს. ამის გამო საუკუნოვანი ტრადიციის სახელის ხელაღებით შეცვლაზე ლაპარაკი უნიადაგო და მიზანშეუწონელია. დაუშვებელია ისტორიის შელამაზება.

ჭართულ საგეოგრაფიო ნომენკლატურაში გვხვდება რამდენიმე ტერმინი, რომლებიც ნამდვილად შესაცილელია, შესაცვლელია, კერძოდ, იმისთანა სახელები, რომლებიც არაადგილობრივ წარმოშობისაა და ჩვენი ხალხის ისტორიულ მეძიებელებთან და ავტოდამსახელებელთან არის დაკავშირებული. ასეთი ტოპონიმთა შესახებ ხშირად ასეთია ჩვენი ცნობილი მეცნიერების წერილებსა და შენიშვნებში და ხვეხებით სამართლიანადაც.

რა თქმა უნდა, სრულიად გაუმართლებელია, როცა უძველეს ჭართულ დასახლებულ პუნქტებს მათი კუთვნილი ტრადიციული სახელების ნაცვლად აღვნიშნავთ ჩვენი ენის ბუნებისათვის შეუფერებელი სხვა ეროვანი ტერმინებით, როგორიც არის მაგალითად, სოფლელები, ნავოლელები, ეზოგეზები, აზიზქენდი, ალბულაღი... არც ერთი მათგანი ადგილობრივ წარმოშობისა არ არის და არც ბუნებრივია, დარქმეულია უცხო ტომთა მიერ ან ავბედობის ეამს, ან მაშინ, როცა ამ კუთხეებში სხვა ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა გამოჩნდა. ცხადია, ამისთანა ხასიათოდებები სასურველია შეიცვალოს (ზოგი მათგანი კიდეც შეიცვალა) და, უწინარეს ყოვლისა, აღდგეს სწორედ ტრადიციული, ადგილობრივი წარმოშობის სახელები, რომლებიც დაუდეკრობის ეამო დაგიწყებას მიეცა.

მაგრამ ლანჩხუთი ამ რიგის ტოპონიმებს არ განეკუთვნება. იგი წმინდა ქართველური წარმოშობისა, თანაც ხანგრძლივი ტრადიციის მქონე. მარტო ის ფაქტი, რომ ტერმინს იმოწმებს XVIII საუკუნის სახელოვანი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი (ლანჩჩეთ ფორმით), მის ხიძველესა და ხალხისათვის მისაღებობას გვარწმუნებს. ამის მსგავსი ვ. წ. „არაქღერადი“ ტოპონიმი კიდევ ათობით გვაქვს. თუმცა მათ შეცვლაზე არავის უფიქრია. მესტიის რაიონში, მაგალითად, არის მშვენიერი სოფლები ლახამი და ლახამული. ბევრმა იქნებ არც კი იცის, რომ ეს სახელები სვანური და სალორეს ალ ნიშნავს (ლ-და-ულ-ა აფიქსია, ხოლო ხამ ძირი ღორს ნიშნავს). ქართლში (ვორის რ.) ერთ სოფელს ბრეწლეთი ჰქვია. ასევე ყველამ რომ იცის, რომ ეს სახელი მიღებულია ძველქართული მრეწლეთან (უნდა ყოფილიყო მრეწლეთი) და ნახირს, სანასრეს ნიშნავს. წულუკიძის რაიონში ულამაზეს სოფელს მაუხოჯი (კოლხურად მახინჯი) ეწოდება, წალენჯიხის რაიონში არის სოფელი ლია, ხოლო ლია ძველქართულად „საფლინი ტალახია“ (სბა)... თითქოს არც ეგ სახელები „ეღერენ“ ან ლექსიკური ერთეული, ეპოქებს სწვდება, ემსახურება საზოგადოებას თავისი განვითარების მთელ მანძილზე. ხალხის ყოფაში დამკვიდრებული და შესისხლხორცებული ტოპონიმების შეცვლა, თანაც იმ მოტივით, რომ ცალკე პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს ის საჩოთირო სიტყვად ეჩვენება, მეცნიერულად გაუმართლებელი და დაუშვებელია. არ უნდა დავიწყოთ ცხოვრების დიალექტიკა: ის, რაც ღღეს ერთს მიაჩნია ეღერადად, ვინ იცის, ხვალ შეიძლება მეორეს არაეღერადად მოეჩვენოს და, პირიქით, ის, რაც ღღეს ერთს არაეღერადად ეჩვენება, მეორეს ეღერადად ჩათვალოს. ეს ბუნებრივი კანონზომიერებაა. ამიტომ ამის მისედვით თუ დავიწყებდით ადგილის სახელების გადაკეთებ-გადმოკეთებას, მეტად შორს წავიღოდით, ტოპონიმთა ხმარებაში საშინელ ანარქიას დაენერგავდით, შთამომავლობის წინაშე გავწითლდებოდით.

„ეუდღეერადობისა“ თუ სხვა, დაუსაბუთებელი მოტივების მოშველიებით ჩვენ მრავალი მშვენიერი ქართული სახელი დავკარგეთ. ყველას გახსენება აქ ძნელია, მაგრამ ზოგი უსამართლოდ დავიწყებული სახელი მაინც გულისტკივილით უნდა მოვიგონოთ. ამაღლება დიიწუნეს და ბანახლება უწოდეს (ჩოხატაურის რ.). ასევე მასცხვარეს -- განათლების კარი დარქვეს (აბაშის რ.), მწუხარელას — ახალი თერჯოლა (თერჯოლის რ.), უწყლოს — სანთა (წალკის რ.), ნაფაცხვარს— ახალშენი, სამღვთოს — ზემონატანები (ბახარაძის რ.), ჩირგვმოს — არჩეული (ლანჩხუთის რ.). და ა. შ. ჩვენ არ ვიცით, ახალი სახელები რამდენად უფრო ეღერადია ძველთან შედარებით.

მსგავსი მაგალითების დასახელება კიდევ ბევრისა შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

იმავეთა შემთხვევაში, გარკვეულ გარემოებათა გამო, დიდს ან მცირე ქალაქს სახელი შეიძლება შეეცვალოს, მაგრამ ამას არ უნდა გამოეწვიოს ტოპონიმის სრული დავიწყება: ძველი სახელი უნდა დარჩეს უბანს ან კუთხეს მაინც. 1924 წელს პეტროგრადს ლენინგრადი ეწოდა, მაგრამ ქალაქში დარჩა პეტროგრადის რაიონი. ტოპონიმი არ დაკარგულა. ჩვენშია, სამწუხაროდ, ადრე ეს ვერ მოხერხდა და ახლაც არ არის გვიანი, თუ ზოგიერთ ტრადიციულ ტოპონიმს მთლად დავიწყებას გადავარჩენთ და, კერძოდ, ოზურგეთს, სენაკს, ხონს, მარტვილს, ხარაგოულს ვეწოდებთ ცალკე უბნებს ან ქუჩებს ბახარაძეში, ცხაკაიაში, წულუკიძეში, გეგეჭკორში, ორჯონიკიძეში. ამით ენას შემოვუნახავთ უძველეს ხატვლებს.

როგორია დასკვნები?

ძველი, ხალხში დამკვიდრებული და ტრადიციული ტოპონიმების შეცვლას უნდა ვერიდოთ, მათ მოვლა, დაცვა და შენახვა სჭირდება. ეღერად და არაეღერად ტოპონიმებზე მსჯელობა საერთოდ უმართებულოა. ყოველ სიტყვას, რომელსაც გაუვლია საზოგადოებრივი ცხოვრების მკაცრი გამოცდა და დამკვიდრებულა ხალხის ყოფაში, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, როგორც ენის ერთეულს. შესაცვლელია არახალხური, ემპირეგზოლად აღმოცენებული სახელი, რომელსაც ხალხის სულსა და გულთან საერთო არა აქვს რა და არა ტრადიციული სახელი.

პროფესორი

ალ. ღლონტი.

საკვირაო ხალადგბი

ციტა მალე, შე-ქალო, გამიდა ზაფხული.

ბ. ერაქის ნახატი.



რიდანაც დღე გამორთულია... ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

ტელევიზია

19 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 11.00 — ქართული სატელევიზიო ფილმები, 12.00 — „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — „დღეს საბჭოთა კავშირის საპატრო ფლოტის დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — კონცერტი ავიატორთა თხოვნით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — მხატვრული ფილმი „მეთორმეტე ღამე“, 14.40 — „თვიდან თვემდე“ — ლიტერატურული აქტარა (გამეორებით), 15.45 — „კინოაფიშა“, 16.20 — კინოპროგრამა, 17.00 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „პოეტი სტუდიაში“, 18.20 — „ტრაგიკომედია ქართულ კინოში“, 19.10 — „ორი მეურნეობა, ორი შედეგი“, 19.40 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 19.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (VIII სერია), 21.00 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე დონეცკის „შახტიორი“ — „ცხკა“ (მეორე ტაიმი), 21.45 — კინოარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატრადო გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „გლობუსი“ (გამეორებით), 20.50 — კონცერტი, 21.25 — ქართული მხატვრული ფილმი „წუთისოფელი“.

20 აგვისტო

პირველი პროგრამით

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „წერტილი, წერტილი, მძიმე...“, 19.35 — „მსოფლიო დღეს“, 20.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კვლავ თამბაქოს შესახებ“ (ქართულ ენაზე), 20.10 — „ციხისძირის ნარინჯებში“, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (კიევი) — „პარატი“ (მოსკოვი) II ტაიმი (გადმოცემა კიევიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 22.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „ვექტორინა“. 23.35 — ფერადი ტელევიზია „ინფორსიადა — 73“.

მეორე პროგრამით

19.05 — კინოპროგრამა. 20.00 — კონცერტი. 20.45 — განცხადებები. 20.50 — მხატვრული ფილმი „ოგინსკის პოლონეზი“.

ფეხბურთის ამბები

ჟუთაისის „ტორპედო“ უკანასკნელ თამაშებში თანდათან აწყობს თავის სატურნირო მდგომარეობას. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ იგი 17 აგვისტოს მასპინძლობდა აშხაბადის „სტროიტელს“. ავტომქარხნელებმა ამჯერადაც შეძლეს მეტოქის დამარცხება — 2:1 (0:1) და ახლა 22 ქულა აქვთ. 21 აგვისტოს „ტორპედო“ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ბაქოს „ნეფტჩის“ მიეღებს.

სვეტლოგოროდსკი „სიჭაბუკის ციხეზე“ წარმატებით გამოდიან ქართველი ფეხბურთელები, რომლებმაც მეორე ტურში დამარცხეს ოსფსრ-ის ნაკრები — 2:0 და 4 ქულა დაგროვეს. სომხეთის ნაკრებმა სძლია ეუზბეკეთის გუნდს — 1:0, ხოლო ეკრაინელებმა მოუგეს ლენინგრადელებს — 2:0.

ფრიალების უნივერსიადის ალამი

ლეონიდ ბრეჟნევმა

მოსკოვი. 18 აგვისტო. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). კვლავ ლუჟნიკის სპორტის სასახლე, ისევ ტანვარჯიში და კვლავ საბჭოთა გუნდის — ამჯერად ვაღთა ნაკრების ბრწყინვალე გამარჯვება. თუ ქალთა შორის ჩვენი ტანმოვარჯიშეები აშკარა ფავორიტებად ითვლებოდნენ, ვაჟებში მწვავე მეტოქეობა იყო მოსალოდნელი იაპონელთა მხრივ. ასეც მოხდა. ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენებმა — წინა უნივერსიადების ჩემპიონებმა უკომპრომისო ბრძოლა შესთავაზეს ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს, — ვ. შუკინს, ვ. მარჩენკოს, ვ. საფრონოვს. მაგრამ მასპინძლებმა თავისი ლიდერის — ოლიმპიური ჩემპიონის ნ. ანდრიანოვის ხელმძღვანელობით მეტოქეებზე გაიცილებით უკეთესად იასპარეზეს და უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვეს 170,05 ქულით. მეორე ადგილზე გამოსული იაპონელები გამარჯვებულებს ჩამორჩნენ 4,75 ქულით.

გათამაშდა მძლეოსნობის ოქროს მედლები: 100 მეტრზე ქალთა შორის გაიმარჯვა ფინელმა მონა-ლიზა პურსიაინენმა — 11,41, ხოლო ვაჟთა შორის რიგელმა ეარი სილამმა — 10,37; ხუთჭიდელთა ასპარეზობა დამთავრდა საბჭოთა მძლეოსნის ნადეჟდა ტკაჩენკოს გამარჯვებით — 4.629, რაც უნივერსიადის ახალი რეკორდია. ბაბლრეს ტურნირებში უძლიერესი იყო ფაინა მელნიკი 64,54; ოქროს მედალი 1500 მეტრ დისტანციაზე ქალთა შორის მოიპოვა იტალიელმა პაოლა პენიამ — 4.10,7, ხოლო ჭოკით მხტომელთა შეჯიბრება დამთავრდა ფრანგი სპორტსმენის ფრანსუა ტრაკანელის გამარჯვებით — 542 სმ.; ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა სამმაგ ხტომაში ვიქტორ სანეევმა საკავალიფიკაციო შეჯიბრებისას აჩვენა 16,22 მეტრი. უკეთესი შედეგი ქონდათ საბჭოთა სპორტსმენს ვ. ბარიბანს და მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს ი. დრუბელს (გდრ) — შესაბამისად 16,46 და 16,31.

გუშინ ლუჟნიკის დიდ სტადიონზე ძალოსნებმა გაითამაშეს კიდევ ექვსი ფინალი.

ძიების ზნამენსკების სახელობის მანეჟში ხმლით მოფარიკავეთა ტურნირზე თავი ისახელა საბჭოთა სპორტსმენმა ვლ. ნაზლიმოვმა. მან მეკრიდი უნივერსიადის ოქროს მედლით დაიმშვენა.

საჭიდაო ხალიჩაზე 23 წლის ქართველმა ფალავანმა ჯემალ მეგრელიშვილმა (მსუბუქი წონა) მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან ქუჩებით დაამარცხა რუმინელი ი. პაროუნი და მესამე წრეში ხვდება იაპონელ მ. ტარუხიკოს. ქუთაისელი ფსტატე გოგლიჩიძე (მეორე საშუალო წონა) იასპარეზებს რუმინელ ნიკოლაუ ნეგუცთან, ხოლო მიხეილ სალაძე (ქვემძიმე წონა) ხვდება ბულგარელ ი. ცველოვს.

მძიმე წონის ფალავანმა შოთა მორჩილაძემ 48 წამში ბეჭებზე დადო ამერიკელი ჯონ ბეიჯერი და ასლა გადაწყვეტენ ორთაბრძოლაში შეხვდება ბულგარელ პიოტერ სტანჩევს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გუშინდელი დღის ასპარეზობათაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჩოგბურთელთა გამოსვლები. ამიტომ იყო, რომ გუშეშეატივრები მრავლად დავსწრნენ ჩოგნის ოსტატთა შეხვედრებს. ვიე ერთეულთა შეხვედრაში ო. კაპაშინმა დამაჯერებლად გაიმარჯვა სოფიის უნივერსიტეტის სტუდენტ ბოიდარ პამპულოვთან — 6:3, 6:4 და გავიდა მეოთხეფინალში, სადაც შეხვდება ავსტრიელ დ. ბარჭსს. წყვილთა შეჯიბრებაში კაკელია კოროტკოვთან ერთად ხვდება ე. ლოვერსა და პ. აფელოიას (საფრანგეთი), ხოლო მორაზოვასთან წყვილში იასპარეზებს ე. შლეშიცკასთან და ვ. ფიბაკოთან (პოლონეთი).

ხვალ უნივერსიადაზე ახალი სტატიები

ო. ნოზაძე.

კატეგორიულისა საზონათაშორისო

მეკინგი — პირველია

დამთავრდა მეორე საზონათაშორისო ტურნირი პეტროპოლისში. მეტად დაძაბული, დრამატული ფინიში ჰქონდა ამ საჭადრაკო მარათონს — პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირების სამი საგზურიდან სრულუფლებიანი პატრონი აღმოაჩნდა მხოლოდ ერთს, დანარჩენი ორის ბედი კვლავ გაურკვეველი დარჩა და მათ მხოლოდ დამატებითი ასპარეზობა გამოავლენს.

„ამ ერთადერთი საგზურის მფლობელი გახდა ტურნირის მასპინძელი — ბრაზილიელი ახალგაზრდა გროსმაისტერი პერრიკე მეკინგი. ბოლო ტურში იგი ხვდებოდა იუგოსლავ ლიუბოეევიჩს. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა უკვე მეცამეტე ხვლაზე და მეკინგს 12 ქულა დაუგროვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა პირველი ადგილისათვის.

ბრაზილიელისათვის შეეძლო გაეხსნრო უნგრელ პორტიშს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლო ტურში იგი ერთ-ერთ ძირითად მეტოქეს — საბჭოთა გროსმაისტერს პოლუგაევსკის ხვდებოდა, უკომპრომისო პაექრობა პოლუგაევსკის გამარჯვებით დამთავრდა 39-ე სვლაზე და ორივე გროსმაისტერმა საბოლოოდ 11,5-11,5 ქულა დააგროვა.

და აი აქ საქმეში ჩაერია გელერი, რომელსაც უკვე ჰქონდა 11 ქულა. მას მხოლოდ წაგება უკარგავდა საპრიზო სამეულში მოხვედრის ყოველგვარ იმედს. გელერმა, მართალია, ვერ მოუგო არგენტინელ პანოს, მაგრამ არც წაუგია და ნახევარმა ქულამ „გადაარჩინა“ — მასაც 11,5 ქულა დაუგროვდა.

ორი საგზურისათვის ეს სამი მოჭადრაკე სექტემბერში იასპარეზებს. თუ სად გაიმართება ეს სამთაბრძოლა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

დანარჩენ შედეგები: სმისლოვმა მოუგო ბორტს, კერესმა — ტანს, ყაიმით დამთავრდა გეორგიუ-ივკოვის პარტია. ცხრილში საბოლოო სიცხადეს გადადებული პარტიების დამთავრება შეიტანს.

ყველაზე ახალგაზრდა

კენრიკე და კოსტა მეკინგი, რომელსაც ბრაზილიელები „მეკინიოს“ და „ჭადრაკის ჰეელს“ ეძახიან, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერია. იგი დაიბადა 1952 წლის იანვარში. 1967 წელს მან პირველად მიიღო მონაწილეობა საზონათაშორისო ტურნირში, რომელიც სუხუმი (ტუნისი) გაიმართა. „მეორე ფიმერი“ შეკინგი არ გამხდარა — 15 წლის ასაკში მან ვერ შეძლო გროსმაისტერის წოდების მოპოვება. ამის მიუხედავად, მან საკოვეთოთა ეურადღება მიიპყრო თავიანი ხალასი ნიჭით, ენერგიული, საინტერესო თამაშით. 1970 წელს მეკინგი თამაშობდა პალმადე-მალიორკას (ესპანეთი) საზონათაშორისო ტურნირში და ვერც აქ შეძლო გროსმაისტერის ნორმის შესრულება, თუმცა სპეციალისტებმა აღნიშნეს მისი შემოქმედებითი ზრდა.

უკანასკნელ ხანებში მეკინგი, რომელსაც ადრე ამეცადინებდა გროსმაისტერი ელისკაზესი (არგენტინა), საგრძნობლად მომძლავრდა. 1972 წელს სკოპლეში მეკინგს უმაღლესი საჭადრაკო წოდება მიენიჭა. პატივმოყვარე ჭაბუკმა გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი გამხდარიყო. იგი დაუმეგობრდა ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონს ჭაბუკთა შორის, საერთაშორისო ოსტატ ხულიო კაპლანს (პუერტო-რიკო) და მასთან ერთად დღეში 8 საათს ემზადებოდა საზონათაშორისო ტურნირისათვის. ადრე სპეციალისტებს, მეკინგის უდავო ნიჭიერებასთან ერთად, არაერთხელ აღუნიშნავთ მისი ნაკლოვანებებიც. დღეისათვის შეუპოვარმა ახალგაზრდამ შეძლო ამ ნაკლოვანებების (ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილის) აღმოფხვრა. დღეისათვის ეს არის შესანიშნავი გროსმაისტერი, რომელიც მარჯვედ აწარმოებს სტრატეგიულ ბრძოლას, აქვს კარგი ტაქტიკა, სადაც საჭიროა მეკინგს შეუძლია ძლიერი ტაქტიკური დარტყმის განხორციელებაც.

მეკინგი — ტანი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 e5 2. ∅c3 ∅f6 3. ∅f3 ∅c6 4. g3 ♗b4 5. ♗g2 0—0 6. 0—0 e4 7. ∅g5 ♗:c3 bc ∅e8 9. d3 ed 10. ed d6 11. ♗b1 h6 12. ∅e4 ∅:e4 13. ♗:e4 ∅e5 14. f4 ∅:c4 15. f5 d5 16. ♗g2 ∅e3 17. ♗:e3 ♗:e3 18. f6 g6 19. ♕d2 ♗e6 20. ♖:h6 ♗:f6 21. ♗:f6 ♖:f6 22. ♗:d5 ♗f5 23. ♗:b7 ♗d8 24. ♗c4 ♖:c3 25. ♗:f7+ ♔:f7 26. ♗:c7+ ♖:c7 27. ♖h7+ ♔g6 28. ♖:c7 ♗:d3 29. ♖:a7 ♗d1+ 30. ♔f2 ♗d2+ 31. ♔f3 ♗d3+ 32. ♔g4 ♔g6 33. ♖a6+ — შავები დნებდნენ.

ეს პარტია ფრიად დამახასიათებელია მეკინგის შემოქმედებისათვის. მე-14 სვლაზე მან ჯარად შესწირა პაიკი, ხოლო შავების შეცდომის შემდეგ (24-ე სვლა ♖:c3 სწორი იყო 24. ...♗:d3) მარტივი, მაგრამ ლამაზი კომბინაცია განახორციელა.

ბ. ბამრეკელი.

ცხოველები, რომლებსაც კანონი იცავს

წონა — 100 კილოგრამსა და მეტს. ხმელხმელი და ლამაზი ტანი და ძალიან ღონიერი ფეხები აქვს, ტყავი — ჭრელი. ყვითელ-წითურ ფონზე ყავისფერი ლაქებია. ლაქებიანი შეფერილობა კარგად იცავს ტყესა და ბუჩქნარში, სადაც ტიგვის ლაქები ფოთლების ჩრდილს ერწყმის.

ჩვენს ქვეყანაში ლეოპარდი ძალიან იშვიათი მხეცია. მცირე რაოდენობით ბინადრობს კავკასიასა და ამიერკავკასიაში, უზბეკეთის და თურქმენეთის მთებში, შორეულ აღმოსავლეთში. ბუნებაზე ლეოპარდი ბევრს ეძებს ლოდეთ შორის, ბაჩქნებულებსა და ბუჩქნარებში, ერთი-ორი კნუტი უჩნდება ბუნებაში.

უფრო ხშირად ეს მხეცი ნადირობს ღამით. თავის მსხვერპლს უსაფრდება ბილიკებზე და სარწყულებებთან, დაეწვება ხოლმე უდიდესი ნახტომებით. იკვებება ძირითადად ბარეული თხითა და ცხვრით, უფრო იშვიათად გარეული ღორი. შინაური ცხოველებს იშვიათად ესხმის თავს.

ადამიანისათვის ხაშაში მხოლოდ დაჭრილი მხეცი, რომელიც მას დაეკვნეტნიან. ადამიანებზე პირდაპირ თავდასხმის შემთხვევები კი ძალიან იშვიათია.

ლეოპარდი კანონით დაცული ცხოველია. ეს ფაუნის არა მარტო ლამაზი და იშვიათი წარმომადგენელია, არამედ სასარგებლოც, ვინაიდან ხანიტარის თავის ბურ როლს ასრულებს. ჭამს პირველ რიგში ადამყოფ და სუსტ ჩლიქიან ცხოველებს. უფრო მეტიც, ლეოპარდი მგლების ხასიათი შეტრია. იქ, სადაც ეს ბინადრობს, მგლები. როგორც წესი, არ არიან.

(ახალი ამბების საბჭენტრ).

მეხანძრე მცენარეები

ლოს-ანჯელესელმა (აშშ) მკვლევარებმა აღმოაჩინეს ეფექტური საშუალება ხანძრებისაგან ტყის დასაცავად. ესაა რეკომენდაციას ძალლეკიან, რომ იმ ადგილებში, სადაც ხანძრის გაჩენის საშიშროება არსებობს დაიგროს 14 სახეობის მცენარეები. რომლებიც როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ცეცხლის შეხებისაგან მხოლოდ შავდებიან და ალი კი არ ეკიდებათ. ბევრი მათგანის თესვები ღრმად მიწის მიწაში და საოკეთესო საშუალებაა ნიადაგის ფენების გასამაგრებლად. ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე დარგული მცენარეები ქმნიან ბუნებრივ ბარიერს. რომელსაც ვერცერთი ხანძარი ვერ გადალახავს. ამას იუწყება საფრანგეთის გაზეთი „პარი-მატჩი“.

ალბომური დეკანეზა

ლეოპარდი

ამ დღეებში წლის წინანდელ ქალაქ კუშკის რაიონში მესაზღვრეებმა ტყეებში ლეოპარდის ორი მიმალული კუტი ნახეს. უკვე წამოზრდილი კნუტების დაჭერა ძალიან ძნელი გახდა: ისინი გაფფრიებულ წინაალმდეგობას ეწეოდნენ ბასრი კბილებითა და ბრჭყალებით. მაღე ახალგაზრდა ლეოპარდები ბადხიზის ნაკრძალში მოხვდნენ, სადაც ისინი სპეციალურად აგებულ ვოლიერში მოათავსეს.

პირველ ხანებში ისინი საჭმელს არ ეკარებოდნენ. მაგრამ თანდათანობით მიეჩვივნენ ხაკვებს, ძირითადად ახალ ხორცს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ ერთსელ ერთმა მაგალმა გისოსს ნაპირი მოგლიჯა და გარეთ გაძვრა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ მეზობელ ვოლიერში მყოფი არსარი (გარეული თხა) დაგლიჯა. შემდეგ კი გაქრა. ერთ კვირაზე მეტ ხანს ეღარავის უნახავს, მეორე მისი კვალი ნახეს ქვიშაზე ვოლიერის გვერდით. შეიძლებოდა ჩასაფრებოდნენ და მოეკლათ საშიში მხეცი, მაგრამ შეებრალათ ლამაზი მტაცებელი და გადაწყვეტეს ცოცხალი დაეჭიერათ. ვოლიერი გადაკეთრეს. ერთ ნაკვეთურში მოათავსეს ბაკეცულის ცა, რომელსაც მშვიდად ეჭირა თავი, მეორეში კი ხორცი შეიტანეს და კარი ისე დაამაგრეს, რომ ხორცთან მიკარებისთანავე ასხლტებოდა და დაიხურებოდა. ოთხ დღეს ლეოპარდი გარშემო ვეღიდა ვოლიერს, მეხუთე დღეს კი გაება მახეში. ახლა ორივე მოზრდილი ლეოპარდი აშხაბადის ზოოპარკის მშვენებაა.

რას წარმოადგენს ლეოპარდი, ეს ვეფხვისა და ჯიქის ახლო ნათესავი და ჩვეულებრივი შინაური კატის შორეული ნათესავი?

ეს დიდი, ლამაზი ცხოველია, მისი სიგრძე 1,8 მეტრს აღწევს, ხოლო ანძელელმა ელეფანტერ ბაბაჯანიანმა ეს ფაქტი ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში ... ...